საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-850

05/09/2019

ქ. თბილისი

ქ. ფოთში, შპს „ფოთი ფაუნდრის“ მეორადი ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოების ქარხნის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-6 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ქ. ფოთში, შპს „ფოთი ფაუნდრის“ მეორადი ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოების ქარხნის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N 91 (02.09.2019წ.);
2. შპს ,,ფოთი ფაუნდრიმ'' სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N 91 (02.09.2019წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,ფოთი ფაუნდრის'';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,ფოთი ფაუნდრის'' მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი